”დინამო” (თბილისი) – ”ქაირათი” (ალმა-ათა) 2:1 (2:0)

ამ მატჩში დინამოელებს ძლიერი მეტოქე ჰყავდათ და შეხვედრაც განსაკუთრებით პირველი ტაიმი, უფრო საინტერესო გამოდგა.

თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო. თბილისელები ბევრს უტევდნენ და მე-9 წუთზე ჭილაია-ყიფიანის კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით და გოლით დასრულდა - 1:0.

დინამოელები კვლავ აგრძელებდნენ იერიშებს. 23-ე წუთზე დარასელიას გადაცემის შემდეგ ჩელებაძემ კიდევ ერთი გოლი გაიტანა სტუმართა კარში - 2:0.

”ქაირათმა” შეძლო ძალების მობილიზება უხეიროდ დაწყებული მატჩის უკეთესი გაგრძელებისთვის, მაგრამ ამაოდ. თბილისელები მინდვრის თითქმის ყოველ მონაკვეთში ჯაბნიან მეტოქეს და საგოლე მომენტებიც ბუნებრივია, მეტი აქვთ.

მეორე ტაიმში უპირატესობას ისევ ”დინამო” ფლობდა, მაგრამ ნელი ტემპი ტერიტორიული უპირატესობის რეალიზაციის საშუალებას არ იძლეოდა, მეტიც - შეხვედრის მიწურულს სტუმრებმა (ფეხლევანიდი) შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა. დარჩენილ დროს ანგარიშში ცვლილება აღარ შეუტანია.

დინამოელები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, სულაქველიძე, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, მინაშვილი (შენგელია), ყიფიანი, ჩელებაძე.

მატჩს სჯიდა ბაქოელი ვ. აზიმ-ზადე.

ბ. ირემაძე.

”ლელო”, 2 მარტი, 1980 წ.